ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 165/8

„7" „06" 2012 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი", მინისტრის პირველი მოადგილის ირაკლი გიორგობიანის სახით და მეორეს მხრივ შემდგომში "მიმწოდებელი", შპს ,,გეო აპექსის" დირექტორის ხათუნა ოშხერელის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (**SPA120014628**) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2012 წლის ასიგნებების ფარგლებში, კომპიუტერული მოწყობილობებისა და მარაგის (CPV კოდი 30200000) შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეული იქნა „მიმწოდებლის" სატენდერო წინადადება, რომლის თანახმადაც ,,მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ,,შემსყიდველს" აღნიშნული საქონელი 27 999 (ოცდაშვიდი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარად. შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და ტექნიკური მახასიათებლები განისაზღვრება გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტის დანართი №2-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 კალენდარულ დღეში.

4.2. მიწოდების ადგილი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მისამართზე– ქ.თბილისი, წერეთლის გამზ. №144.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, საქონლის მოწოდების შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ მომზადებული ინსპექტირების აქტის საფუძველზე სამ ეგზემპლარად შედგენილი მიღება–ჩაბარების (დანართი№1) აქტით.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში;

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მოწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/ და შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1. ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი, სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალისტი ლაშა ენდელაძე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (---- გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება - `მომწოდებელთან", ხოლო ორი - `შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქ. თბილისი, წერეთლის გამზ.№144

საიდენტიფიკაციო კოდი 211333957

ირაკლი ... ანი

მინისტრის ...

„მიმწოდებელი"

შპს „გეო აპექსი"

საიდენტიფიკაციო კოდი 202223147

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი წერეთლის გამზირი კორპ.№12 ბ.46.

ფაქტიური მისამართი: ქუჩიშვილის ქ.№12,გამრეკელისქ.№20.

ს.ს."ვი-თი-ბი ბანკი" ბ/კ UGEBGE22, ანგარიშსწორების ანგარიში GE40VT0400010570303602

ხათუნა ოჩხერელი

დირექტორი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში შესყიდული საქონლის მიღება – ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი „__“ „____” 2012 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ბატონი **<u>გიორგი ხაბაშვილი</u>**
და, მეორე მხრივ, მომწოდებელი

(ორგანიზაციის დასახელება)

(ხელმძღვანელის თანამდებობა; სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ ----------

2012 წლის „“ „ № ხელშეკრულების პირობით

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

თვეში მოწოდებული საქონლის ღირებულებამ
(თვის დასახელება)

შეადგინა

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად) (თანხა – ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია

საქონლის ღირებულება, ანაზღაურებულია ----------
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მიიღო

1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
2. პასუხისმგებელი შემსრულებელი

ბ. ა.

ჩააბარა

1. ხელმძღვანელი
2. მთავარი ბუღალტერი

ბ. ა.

დანართი №2

დასუსტებული ფასების ცხრილი

პრეზენტაციის დასახელება: შპს "გეო-აპექსი"

ნომერი N	საქონელის დასახელება	საქონლის დეტალური მახასიათებლები	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო დირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6		7
1	ვინჩესტერი ჩასადებით	USB 2.0 500GB min. 5400rpm	3	200	600	შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 კალენდარულ დღეში	წერეთლის გამზ. 144
2	ვინჩესტერი ჩასადებით	USB 3.0 500GB min. 7200rpm with lock button	4	216	864		
3	ვინჩესტერი ჩასადებით	USB 2.0 320GB min. 5400rpm	3	192	576		
4	ვინჩესტერი SSD	min. 256 GB, 25 nm, 2.5', 9.5 mm	5	588	2940		
5	ვინჩესტერი 1	1TB F3 32mb 7200rpm, Piuggable	5	699	3495		
6	ვინჩესტერი 2	146 GB 3G SAS 10K SFF SP	4	900	3600		
7	ვინჩესტერი 3	2TB F3 16mb 7200rpm 8.9ms	2	294	588		
8	ვინჩესტერი 4	500GB F3 16mb 7200rpm 8.9ms	4	167	668		
9	ვინჩესტერი 5	750G 32mb 7200rpm	8	220	1760		
10	ვინჩესტერი 6	for leptop 500GB 7200rpm 8mb	4	213	852		
11	ვინჩესტერი ჩასადებით	HDD mount KIT compatibility to HP MSA60 ARRAY	2	840	1680		
12	ვებ კამერა	WiFi 1.3 mpixels	4	318	1272		
13	ფლეში 1	Flash Drive/ 8GB/DataTraveler USB 2.0	70	13.5	945		
14	ფლეში 2	32GB readonly button	10	180	1800		
15	DVDR5 დისკი		200	0.48	96		
16	DVDR9 დისკი		300	1.44	432		
17	BlueRay დისკი	min 25GB, 2x	50	3	150		
18	DVD RW მოწყობილობა	INT 8X 2mb DVD-W SATA	3	38	114		
19	USB DVD RW მოწყობილობა	EXT 8X 2mb DVD-W Slim power from USB	4	87	348		
20	ხელსაწყო კონექტორების მისა	crimping cutting tool	3	42	126		
21	ხელსაწყოების ნაკრები	Tool kit (more 100 pcs)	2	264	528		
22	კაბელი UTP	UTP 5 Cat.5E 0,5MM N100.517 305M PVC	4	0.5	2		
23	კონექტორი ქსელური	RJ45	500	0.18	90		
24	USB2 დამაგრძელებელი	USB2, min. 2 m.	10	1.8	18		
25	კვების ბლოკი PC	400w real, 24 pin, with minimum 2 SATA output	5	54	270		
26	კვების ბლოკი ლეპტოპის 2	LG LT20 compatability	2	108	216		
27	აკუმულიატორი ლეპტოპის 3	Sony Vaio vgn-tz191n compatability	1	265	265		
28	აკუმულიატორი ლეპტოპის 4	LG LT20 compatability	2	204	408		
29	მეხსიერება 2048	DDR3 2GB 1333, PC3-10600	50	24.5	1225		
30	მეხსიერება ლეპტოპის	8 GB 1333 MHz DDR3 SDRAM sodim	10	150	1500		
31	კომპიუტერული ნაწილების ს	for LCD too	20	6.5	130		
32	IPAD2-ის შალითა	smart cover black case for iPad2	3	66	198		
33	გადამყვანი	HDMI adapter for iPad	2	54	108		
34	ქსელის კარტა	Ethernet PCI-E X1 100/1000 Network Adapter	5	27	135		
			თანხა სულ		27999		

საერთაშორისო წინადადების ფასია: ოცდაშვიდი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი

დირექტორი ხათუნა ომიხარელი

GEO APEX
GEORGIA
202231437
"GEO-APEX" LTD